№ 1137 ოთხშაბათი, 12 მარტი 1914 წ. № 1137

სახალხო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდიმეს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავეჭრო სახლის ლ. დ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოუდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლა-პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. იდრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., ოვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და საალიტერ.
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით).
პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**
პირველი წიგნი: „ძართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმძრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.
მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.
მესამე წიგნი: „საშეცნიერო ძრიბული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.
ადრესის გამოცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისის გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**
დანარჩენ შეკითხვებში უფასოა.
სამი აგენტი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოვნით **ახლოლოდ** შემდეგ ვადებზე ეღირება იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თებერვალამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება ხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, ხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" **კანტორაში**, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, ეზისავალი ეზოდან.
2) ქ. ს. წ.- კ. გაზეთ. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ოთხშაბათს, 12 მარტს, **სოფელ წევრს** (შორაპნის მაზრა), წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის
დავთ ეპიფანეს ძის ჭაოშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებსა, და მეგობრებს გულდამწვარნი **მშობელნი: მღვდელი ეპიფანე მაქსიმეს ძე** და **კალერია გრიგოლის ასული ჯაოშვილები, ნინო ეპიფანეს ასული ჯაოშვილი** და **პაპა გრიგოლ შიოს ძე გაჩიჩილაძე.** ძეგლის კურთხევა ცალკე იქნება გამოცხადებული. 178

„ახალი კლუბის" წევრთა
„საზოგადო კრების გაგრძელება"
დანიშნულია **პარასკევს, 14 მარტს**, საღამოს 8 საათზე.
დანიშნულია არჩევნები: 1) 4 მამასახლისისა, 2) 6 მათის კანდიდატისა, 3) სარევიზიო კომისიის წევრისა და 3 კანდიდატისა, 4) კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1095

ვაგზლის სამკურნალოში
(**შინაგანი ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.
ეძ. ძალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ეძ. ალდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
წამლოვა „914". 1023

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის
საზოგადოების წევრთა
საზოგადო კრება
დანიშნულია 30 მარტს,
დილის 10 საათზე, საზოგადოების სადგომში, იმ კრების ნაცვლად, რომელიც წესდებაში მოხსენებულ წევრთა რაოდენობის დაუსწრებლობისა გამო 9 მარტს ვერ შესდგა.
კრების საგანია:
1) საბჭოს მოხსენება ანგარიშის თაობაზე.
2) საბჭოს მოხსენება თავის მოღვაწეობაზე.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) 1913 წლის ანგარიში, 5) 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 6) საბჭოს მოხსენება საწევრო გადასახადის გადიდებაზე, 10%-დან 20%-დე. 7) საბჭოს მოხსენება საზოგადოებისათვის საკუთარ შენობის შეძენაზე. 8) არჩევა გამგეობის თავმჯდომარისა მორიგეობით გასულ თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის სამაგიეროდ, არჩევა საბჭოს დეპუტატებისა, მორიგეობით გასულ თ-დ ვ. გ. მაჩაბლისა, ა. ფ. ყიფშიძისა და თ-დ ვ. ს. მიქელაძის ნაცვლად, არჩევა სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. 1111

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქალაქი, ბაბანინის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12
	კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკეშიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფიროდოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ალმა და ამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფიროდოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი ზ. ს. ყოველ ღღე 11—2.
	კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს.
ორგანოთ. სნეულებ. ენა ყელ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.
	ფიროდოვი ზ. ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. **დაწყებული.** ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე **წოლით** ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვ. შეღავათიანი საფასური. 1070

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე ვ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
ზინამძღვარიშვილი ვ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა ქვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი ვ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
ბინზაშარბი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

გამგეობა
ზუგდიდის საურთიერთო ნდობის
საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ წევრთ, რომ შაბათს, 29 მარტს 1914 წლისას, დილით 10 საათზე საზოგადოების სადგურში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება წევრებისა.
განსახილველი საგნები:
1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზე წარსულის 1913 წლის განმავლობაში და მოგების განაწილებისა; 2) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვის ამა მდგომარე 1914 წლისა; 3) არჩევნები გამავალთა სამაგიეროთ ორის საბჭოს წევრისა და გამგეობის ერთის წევრისა, წლიური ანგარიშის შემმოწმებელის კომისიისა სამი წევრისა და სამი ამათის კანდიდატებისა წესდების მე-44,53 და 70 პარაგრაფის თანახმად.
წესდების § 37 ძალით თითეულს საზოგადოების წევრს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თვისი და მეორე ვექილობის ძალით.
ხმის უფლება გადაეცემათ საზოგადოების გამგეობის სახელზე შემოტანილი უბრალო წერილის ძალით კრებამდის სამი დღით წინ მაინც.
ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა.
თავმჯდომარე **ვ. კ. ალშიბაია**, დირექტორები: **ნ. ზ. დავითაია, დ. ლ. კარტოზია.** 1110

ქუთაისში
კ. ოცხელისა და **ამხ.**
წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა
სამეცნიერო და საალიტერატურო კრებული
„ცხოვრება და მეცნიერება"
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთად. 1065.

საბურავლოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თბილიაშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თვის დასაზე შემოიტანონ დარჩენილი გადი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ქირავდება
სასტუმრო
ახლად გაკეთებული და გამშვენიერებული 24 ოთახი, შეიძლებს 27-იც. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, სამი ხრიდან ტრამვაი სასტუმროს კარის წინ ჩერდება. ვაჭრობა უზრუნველ ყოფილია.
პირობების გაგება შეიძლება ფეხსაცმელთა სახელოსნოში, **ძმ. ლოთოვაძეებთან,** პირდაპირ, ლაზარაშვილის სახლში. 175

ექიმ ლ. ლ. ბოსტრიჩის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ქ. ბოტრში
ექიმი (დოკტორანტი) **ვ. დ. ზინამძღვარიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

იყიდება სახლი
77 ოთხკუთხა საქ. მიწით, **ახალშენში** პირველ **საპოლიციო** ნაწილში. **პირობების გაგება შეიძლება** ოლღის ქ. 54, მეპურე **ს. ვ უთმელიძესთან.** 180

ექიმი ზ. ნ. ბაგაკიანი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
ზ. ზ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ტლეკი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ტლეკისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოთორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრედვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება ხბეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **დარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, **№ 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ნაძალადევში
ექიმი ხუდადოვის ქ., 4. **ი. რ. სუბაშულაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ტ კანის ავადმყ.: **ვასერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოგანყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი **პავლე არდაზიანი**
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ტფილისი, 12 მარტი

ქართული ენა სამეგრელოში. თუ ქართული ენა საზოგადოდ საქართველოს ყველა კუთხის სახალხო სკოლებში დევნილი და შევიწროვებულია წინაამდეგ 1881 წლის სასწავლო გეგმის მოთხოვნილებისა, იგი კიდევ უფრო განსაკუთრებულს დევნას განიცდის კერძოთ სამეგრელოს სკოლებში. ზემო დასახელებული წლის გეგმა, რომელიც ძალაში არის დარჩენილი და კანონის მიერ არაა გაუქმებული, აგრეთვე სახალხო განათლების მინისტრის მიერ 1907 წ. გამოცემული ცირკულიარი, გადაჭრით მოითხოვს, რომ პირველი-დაწყებით სკოლაში ყველა საგნის სწავლება პირველსა და მეორე განყოფილებაში აუცილებლივ სწარმოებდეს დედა-ენაზე; აგრეთვე სავალდებულოა, რომ სალრმთო სჯული თავიდან პოლომდის იმავე ენაზე ისწავლებოდეს; ხოლო რუსული წერაკითხვა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვებს მეორე წლიდან.

ასეთია კანონის მოთხოვნილება და ამის ძალით სამეგრელოს სახალხო სკოლებშიც სწავლება ქართულად უნდა იყოს. მაგრამ საქმის დღევანდელი ვითარება სრულებით არ შეეფერება კანონის მოთხოვნილებას. ჩვენში კანონი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და მის მიერ მოხიჭებული მტერე უფლებაც ფეხითაა გათელილი კანონის აღმსრულებელი მოხელეებისაგან. ვასტორგოვის და მის თანაამოაზრეების მოძღვრებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს ცხოვრებაში დ პოლიტიკოს დირექტორ-ინსპექტორების და საეპარქიო საბჭოს უფროსების წყალობით ქართული ენა სრულიად გამოძევებულია სამეგრელოს სამინისტრო და სამრევლო სკოლებიდან. მეგრელებს ქართველებად არა სთვლიან და მათ დედა-ენად ქართულს არ აღიარებენ. ჩვენი დღევანდელი ყოველს ეროვნულს შეგნებას და საპროფესიო ღირსებას მოკლებული მასწავლებლებიც ხმის ამოუღებლად მოხუცურად ემორჩილებიან ბატონების ბრძანებას და ეხლა სამეგრელოში ორიოდე მასწავლებელი თუ ასწავლის ქართულს მოწაფეებს და ასიც ჩუმად და ფარულად გაკვეთილების შემდეგ.

სამწუხაროდ ასეთი მოვლენის უმთავრესი მიზეზი თვითონ საზოგადოებაა. საზოგადოება არ ეწინააღმდეგება და არ ებრძვის ქართული ენის თავგასულ მდევნელებს, და ეს აიხსნება მით, რომ სამეგრელოში სულტანი ეროვნული თვითშეგნება და იქ ვერ ვხედავთ ისეთ ეროვნულ კულტურულს მუშაობას, როგორც კარგა ხანია დაწყებულია ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებში. ქართულს წიგნს, გაზეთს, წარმოდგენას ყველაზე ნაკლები გასავალი აქვს სამეგრელოს შუაგულ ადგილებში. უკანასკნელ წლებში მრავალ ალაგას გაიხსნა წერაკითხვის საზოგადოების განყოფილება და მათი მოღვაწეობა ასე თუ იქ ნაყოფიერია ყველგან. მაგრამ საკმარისია თვალი გადაავლოთ ზუგდიდის განყოფილების ორი წლის მუშაობის ანგარიშს რომ ნათლად დაინახოთ, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს ქართული კულტურის საქმე სამეგრელოს ცენტრში. 1912 წ. ზუგდიდის განყოფილებას შემოსავალი ჰქონდა 99 მან. და გასავალი 91 მან. 50 კაპ. 1913 წელს შემოსავალი იყო 608 მან. 50 კ. ხარჯი 25 მან. 50 კ. განყოფილებას დაუარსებია მხოლოდ ერთი წიგნთსაცავი-სამკითხველო ზუგდიდში, რომელსაც მკითხველი ძალიან ცოტა ჰყავს. გასული წლის ანგარიში აღნიშნავს, რომ „საკითხავი წიგნი ძალიან ცოტა გაქვთ და ვისაც მიაქვს, ისიც თვეობით არ აბრუნებსო“. განყოფილების მოღვაწეობა სხვა არაფერში არ გამოჩენილა.

განყოფილების ეხლანდელს გამგეობას კარგად გაუთვალისწინებია საქმის საერთო ვითარება და შარშანდელიდანვე შესდგომია ქართული სკოლის დაარსებას; ამის შესახებ „მოლაპარაკებაც“ გაუმართავს „საზოგადოების“ მთავარ გამგეობასთან და სხვა და სხვა პირებთან, შესდგომია სახსარის გამოძებნასაც და ამ თვის თუთხმეტისათვის მოუწვევია წევრთა საზოგადო კრება, რათა საბოლოოდ გამოარკვიონ და გადასწყვიტონ მთელი მაზრისათვის დიდად ძ�ვნელოვანი საკითხი. ლაპარაკი არ უნდ რომ მხოლოდ კარგად დაყენებული ქართული სკოლა დაუდებს მტკიცე საძირკველს ეროვნული აღორძინებას სამეგრელოში. მხოლოდ ასეთ სკოლაში აღზრდილი თაობა იქნება ქართული წიგნის და გაზეთის მკითხველი, მხოლოდ იგი დაიცავს ქართული ენის უფლებას. სკოლის მეოხებით დამკვიდრდება ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოც; სკოლის გარშემო აღმოცენდება ეროვნული თვით შეგნებაც, იგი იქნება შემაერთებელი ძალა.

როგორც სჩანს თვითონ საზოგადოების განყოფილებას არ მოეპოვება სკოლისთვის საჭირო თანხა. მაგრამ ამ შემთხვევაში მას დიდი დახამარება უნდა აღმოუჩინოს მთავარმა გამგეობამ. ზუგდიდი სამეგრელოს გულია და იქ ქართული სკოლის დაარსება დიდი საქმეა, რომლისთვის დახარჯული შრომა და ფული ძვირფას ნაყოფს გამოიღებს. ჩვენ აქამდის მცირე ყურადღებას ვაქცევდით სენაკ- ზუგდიდის მაზრებს და ეხლა მაინც უნდა გავასწოროთ ეს შეცდომა.

ქართული პრესა

გაზეთი **„იმერეთი“** ცდილობს თავისი ახალი „მრწამსი“ დაასაბუთოს. საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის, რომ „იმერეთი“ თითქოს მორცხვობს, ახალი ქურქი ეუცხოვება და ვერა ჰბედავს ახალ მიმართულებას ის სახელი უწოდოს, რომელიც მის შინაარსს შეეფერება. ეუცხოვება, მაგალითად; სიტყვა „ზომიერება“ და ის, რომ მისი მიმართულება ბურჟუაზიულ მიმართულებად იქმნა მიჩნეული. ზომიერთათვის, ბურჟუაზიულ ნიადაგზე მდგომთათვის, ერთი თავ-სატეხი საკითხთაგანია კლასთა ბრძოლა და ამ ბრძოლაში ჩაბმულ მოწინააღმდეგეთა ურთიერთი დამოკიდებულება. ამ საკითხის გამო „იმერეთი“ სწერს:

„ამიტომ გავბედავ და ვიტყვი, ქართველმა მუშამ საზღვარი უნდა დაუდოს თავის მოთხოვნას, თუ არ უნდა, საქართველოში მრეწველობა დაქვეითდეს და მისი ალაგი სხვამ დაიჭიროს“.

აი, ასეთი ბრძნული დასკვნა გამოიტანა „იმერეთმა“ იმ, მართლაც, ქეშმარიტი აზრიდან, რომ არის ზოგიერთი ისეთი რამ, რის განხორციელებაც ერთნაირად სასარგებლო შეიძლება იყოს ორივე კლასისთვის. უფლებრივი წეს-წყობილების დამყარება საჭიროა როგორც მუშებისათვის, ისე ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ვინ გამოიყვანს აქედან ისეთს დასკვნას, რომ მუშათა კლასია უარი უნდა სთქვას თავის კლასიურ ინტერესებზე ქართულ მრეწველობის განსავითარებლადაო. ასეთი მსხვერპლის მოთხოვნა არამც თუ სასარგებლო არ არის, ფსიხოლოგიურადაც კი წარმოუდგენელია. ამასა ჰგრძნობს თვით „იმერეთი“ და ასეთს თამასუქს იძლევა, ალბად, ქართული ბურჟუაზიის სახელით:

„მაგრამ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მუშებთან მაშინ, როდესაც ისინი ჩვენსას არ დაიჯერებენ და ძველი გზით სიარულს განაგრძობენ? რასაკვირველია, მეგობრული, რადგან ჩვენ მათი სარგებლობა გვამოქმედებს გვალაპარაკებს და არა პლუტოკრატიის ინტერესები“.

მუშებმა თავიანთ საკუთარ ინტერესებზე უარი უნდა სთქვან და ფრთები შეაკვეცონ თავიანთ მოთხოვნილებებს, რადგანაც ამას მათი ინტერესი მოითხოვს. ტიპიური აზროვნება ყოველი ნაციონალისტისა! ქეშმარიტი დაცვა ეროვნული ინტერესებისა ამისთანა მსხვერპლს ქართველი მუშისაგან არ მოითხოვს. ქართული ბურჟუაზიის ზრდას მხოლოდ მაშინ ექნება რაიმე ეროვნული ღირებულება, როდესაც იგი გაიზრდება თავის საკუთარ ძალ-ღონით და არა ისეთი მსხვერპლის წყალობით, რომელიც ქართველ მუშის გაფხეკილ ჯიბეს დააწვება.

ასეთივე ხასიათისაა მეორე დებულება „იმერეთი“-სა. მისი „ტაქტიკა“, თურმე, ასეთი უნდა იყოს:

„ჩვენ ხან-ხან ზომიერებას აღვიარებთ, ხან უკიდურესობას იმისდაგვარად, როგორ პირობაში ვართ ჩავარდნილი, თანახმად შოთა რუსთველის ნათქვამისა: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მაცალსაგან“.

ჩვენა გვგონია, დიდი კომენტარიები არ დასჭირდება ისეთს „ტაქტიკას“, რომელსაც საფუძვლად ედება ჩვენი ხალხური ანდაზა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

საქართველო

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ტფილისი ძალზე „ინტერნაციონალურია“. ვერსად შეხვდებით ამდენს ინტერნაციონალისტს. ქალაქელი ინტერნაციონალისტები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ—ერთნი საკუთარის (ანუ, უკედ, თავის ერის) ჯიბით ინტერნაციონალისტობენ, მეორენი—სხვისის ჯიბით. ყოველ შემთხვევაში ჩვენში ინტერნაციონალისტობა ძლიერ ადვილი საქმეა. ჩვენში დიდი ცოდნა, ქკუა და გამოცდილება საჭირო არაა. სიტყვები თუ შეაზავე და ფრაზები დაალაგე, ქაღალდი იშოვნე და საწერკალამიც, მეტი არა გინდა რა.

ტფილისში გამოდის ერთი საორშაბათო რუსული გაზეთი „ნოვოე დელო“, რომელიც ვის ეკუთვნის, ჯერ არ გამორკვეულა. „ფიქრმა“ კი განაცხადა, მე არ მეკუთვნისო, ხაგრამ სხვებისა კი ჯერ არა ვიცით რა. ასეა თუ ისე, გაზეთი გამოდის... მეგაზეთეების და განცხადებათა პატრონების წასაკითხავად. გაზეთს ერთი უშიშარი რაინდი „ინტერნაციონალური“ მწერალი ჰყავს სახელად ბარდი, თუ ნემო (ყოფილი ურბანუს), რომელიც აგერ რამდენიმე ხანია ქართველ ეროვნებას სჯიჯგნის და კერძოდ საქართველოს ავტონომიას წესს უგებს. როგორც მკითხველს ეოეხსენება, დღეს ჩვენი ავტონომია ყველა „ინტერნაციონალისტის“ კბილის გასასინჯი მასალაა. ვინც ძეტს ბდღვირს აადენს საქართველოს ავტონომიას, მით უფრო მეტის „ინტერნაციოლისტობის“ სახელს მოიხვეჭს. მისდა საუბედუროდ, ბარდი (თუ ნემო) ახალს ვერაფერს ამბობს, იმეორებს ნ—ის და სხვა დასელების ნაღეკ სიტყვებს. ხოლო ზოგიერთი ადგილი მისი წერილებისა თავისებურის ელფერითაა შეკაზმული და მკითხველსაც გავაცნობთ.

ერთს ალაგას ბარდი სწერს:

„საქართველოს ეკონომიური ცხოვრების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქონებრივი წარმატება უმთავრესად გამოწვეულია უცხოელთა (სომხების, რუსების, თათრების) კაპიტალით“...

ამიტომ გვაფრთხილებს „ნოვოე დელოს“ ბრძენი: თუ ავტონომია დაწესდა საქართველოში, უცხოელი კაპიტალისტები გაიქცევიან საქართველოდან (?) და საქართველო გადატაკდებაო.

მეორე ალაგას კიდევ ამბობს:

„ტერიტორიალური ავტონომია ხელსაყრელია მხოლოდ ქართველ მემამულეებისთვის (იმათთვის, რომლებიც დღე და ღამ საქართველოს ჭყიდიან? მეპრ.), რომლებიც ამის მეოხებით დაიბრუნებენ წინანდელს ბატონობას (ისე, როგორც დაიბრუნეს სხვა ავტონომიურ, თავისუფალ ქვეყნებში? მეპრესე), იგი სახეიროა ქართველ ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან შეჰქმნის შინაურს შემოზღუდულს ბაზარს (რომელი და სადაური ავტონომიაა ასეთი? მეპრ.), იგი საპიროა ქართველ სამღვდელოებისა და ინტელიგენციისათვის, რომელიც დიკავებს საპატიო ადგილს ეროვნულ ბიუროკრატიაში (ძთელი დედა-მიწა ხომ კუკის გარშემო ტრიალებს! მეპრ.).

ასე მსჯელობს „ინტერნაციონალისტი“ ბარდი (თუ ნემო), რომლის სიტყვებს არავითარი განმარტება არ ესაჭიროება და რომლის „ინტერნაციონალობა“ ისე დაშორებულია ქეშმარიტს ინტერნაციონალობას, როგორც დედა-მიწა ცას.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილისს ჩამოვიდა.

◆ საკოოპერაციო კრება. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის წინაშე, რათა ნება დართოს, მოიწვიოს ტფილისში ამიერ-კავკასიის პირველი საკოოპერაციო კრება.

◆ საფოსტო გზების გაუქმება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, რათა კახეთის რკინის გზაზე მოძრაობის დაწყებისთანავე გააუქმონ საფოსტო გზები: ტფილისიდან სიღნაღამდე, თელავიდან გომბორამდე და კაპრეთიდან ბაკურციხემდე. [illegible] სთან ერთად უნდა გაუქმდეს [illegible] რები: ორხევისა, სართიჭალისა, კაკაბეთისა, კაპრეთისა, ბაკურციხისა, ველისციხისა, აკურისა და თეძრ[illegible] წყლისა.

◆ ქალაქის მდივნად არჩეულ[illegible] იქმნა „ტიფლ. ლისტოკ“-ის [illegible] მთავარ თანამშრომელთაგანი [illegible] სანდრე ივანეს ძე სტავროვსკი.

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავ[illegible] ი. მ. ჩიქოვანი ქალაქის საქმეთა გ[illegible]მო ტფილისს ჩამოვიდა.

◆ ახალი საქალაქო სესხი. ქ[illegible]ლაქის საბჭომ დაადგინა, აიღოს 300,000 მ. სესხი ლომბარდის საწარ[illegible]მოო თანხის გასაძლიერებლად.

◆ მიწა მეორე საკადეტო კორ[illegible]პუსისათვის. ქალაქის საბჭომ დაადგინა, სამხედრო უწყებას 12 დესეტინა მიწა დაუთმოს ლოტკის გორაში მეორე საკადეტო კორპუსისათვის.

◆ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებისთვის ჯამაგირის მომატება 10 მარტს ქალაქის საბჭ[illegible] ფარულ კენჭის ყრით გადასწყვიტ[illegible] თანახმად გუბერნატორის წინადადებისა. ჯამაგირების მომატების მო[illegible]რე აღმოჩნდა 55 ხმოსანი, ხოლო [illegible] წინააღმდეგი 11.

◆ ახალი ჟურნალი. ა. გ. მაჩა[illegible]ლისამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში ყ[illegible]ველკვირეული რუსული ჟურნალ[illegible] სახელად „ნოვოე ზაკავკაზიე“ (ა[illegible]ლი ამიერ-კავკასია).

საზოგადოებანი და კრებანი

◆ ახალი იმხანაგობა. გ. [illegible] თოიძესა, ნ. ბერიძესა, პ. ბ[illegible] ხუნდ[illegible]ძესა, დ. ი. ხუნდაძესა, ლ. ნ. ჟორ[illegible]დანიასა, გ. ნ. შუბლაძესა და ა. [illegible] თვალიაშვილს განუზრახავთ, დაარ[illegible]სონ ტფილისში სასოფლო-სამეურ[illegible]ნეო ამხანაგობა „ანკარა“, რ[illegible]ლის მიზანიც იქნება, ხელი შეუწყოს თვით წევრებს სასოფლო-სამეურნეო საგნების შესწავლასა და სასოფლო მეურნეობის ხელშეწყობა გასაღებაში. ამხანაგობის წესდება გუბერნატორს უკვე წარედგინა დასამტკიცებლად.

◆ მეგენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტი კრება 14 მარტისთვის არის დანიშნული. კომიტეტი, სხვათა შორის, განიხილავს ალაიანისა და კონდოლის სანერგეების 1914 წლის ხარჯ[illegible] აღრიცხვას.

სასწავლებლებში

◆ სკოლის შენობა. ბორჩალო[illegible] მაზრის სოფელ არუხლოსი და [illegible] გარშემო მდებარე სოფლების მცხოვ[illegible]რეებლების განაჩენი, რომლითაც [illegible] ისინი ადგილობრივ სკოლის შენო[illegible]ვიანდა და მხოლოდ 31 მაისს მივ[illegible]და არგუნის სათავესთან.

ლაბანის კარიდან, გენერალმა სიმონოვიჩმა წერილი გაუგზავნა ალექსანდრეს, ურჩევდა მორჩილებას და თანაც დიდ მოწყალებასა და პატივს ჰპირდებოდა. წერილი ივანე გურგენიძემ წაუღო ალექსანდრეს, რომლის ბანაკის მოწინავე ყარაულებმა მოჰკლეს გურგენიძე. წერილი მაინც მიიღო ალექსანდრემ, მაგრამ სიმონოვიჩს პასუხი არ მისცა. ალექსანდრეს იმედი ჰქონდა არგუნის ხეობაში თავმოყრილ ხევსურებისა და ქართველებისა, ეგონა, რომ ისინი რუსებს [illegible] გაუმკლავდნენ შატილისაკენ.

სიმონოვიჩმა ლაბნის კარში დ[illegible]ტოვა დაჭრილი და ავადმყოფი ჯ[illegible]რის-კაცნი, საყარაულოდ მიუჩინ[illegible] 300 კაცი, დანარჩენი ჯარით კი [illegible] მაისს არგუნის ხეობით სოფ. შატ[illegible]ლისაკენ გაემგზავრა. არგუნის ხეობა მეტად ვიწრო იყო, აქეთ-იქ[illegible] მხრიდან შეზღუდული მაღალი ც[illegible]ცაბო კლდეებით, რომელზედაც მდ[illegible]ნარე არგუნის ურიცხვი წყალ-ვარ[illegible]ნილები აყრუებდნენ არე-მარეს. [illegible] ხეობა ალაგ-ალაგ ხევსურებს ჩა[illegible]ხერგათ და კლდიან ადგილებ[illegible] მარჯვედ ჩასაფრებულიყვნენ.

ამ გზით მთელი ჯარის წაყვა[illegible] ხელსაყრელი არ იყო სიმონოვიჩ[illegible] სათვის, — სროლაში გაწვრთვნილ[illegible] ხევსურები ნიშან ამოღებით სათ[illegible] თაოდ ამოსწყვეტდნენ სიმონოვიჩის ჯარს. ამისათვის სიმონოვიჩმა ჯარი სამ ნაწილად დაჰყო: ტიხანოვსკ[illegible] გაგზავნა მდინარის მარცხენა მხარეს, სტალის უბრძანა გაენთავისუფლებინ[illegible] ხევსურებისაგან მდინარის მარჯვენ[illegible] მხარე, დანარჩენი ჯარი კი თითონ [illegible] წაიყვანა პირდაპირის გზით. სისწრა[illegible]ფითა და მამაცურად აცოცდნ[illegible] გვერდით მომვლელნი რაზმები ც[illegible]ცაბო კლდეებზე, რომლის უკან ჩ[illegible]საფრებულნი ხევსურები, თავიდან[illegible] ფეხამდის რკინით შესხმულნი, მზ[illegible]ზე ლაპლაპებდნენ. გზები არსაიდან[illegible]

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი).

(შემდეგი *)

მუქარას არ შეუშინებია ფშაველები, შიშს ისინი მიჩვეულნი არ იყვნენ, მხოლოდ საქონლის დატყვევებამ ჩააგდო საგონებელში. საქონელი ფშაველების სიცოცხლის სახსარს შეადგენს. ამით ცხოვრებენ ისინი და უსაქონლოდ გაძლება ხომ ერთ დღესაც არ შეეძლოთ. 40,000 სული საქონლის დატყვევება სახუმარო საქმე არ იყო. ფშაველებმა ერთგულება აღუთქვეს და მრავალი მათგანი ჯარსაც გაჰყვა თან გზის მაჩვენებლად.

რტიშჩევმა შეადგინა ძლიერი ჯარი და გადასწყვიტა ერთ და იმავ დროს გაგზავნა ოთხის მხრივ მდინარე არგუნის სათავესაკენ—სოფ. შატილში, სადაც ალექსანდრე იმყოფებოდა. ოთხის მხრივ თავსდაცემა, რტიშჩევის ფიქრით, შიშის ზარს დასცემდა ხევსურებს და იმავ დროს დაანაწილებდა და დაჰყოფდა მათ ძალას.

მთელი ნომქმედი ჯარის უფროსად დანიშნა ომში გაწრთვნილი და გამოცდილი გენერალი სიმონოვიჩი. მას ებრძანა თავდაპირველად ხევსურებისთვის გამოეცხადებინა ნებაყოფლობით დამორჩილებულიყვნენ და გაეცათ ალექსანდრე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასტიკად დაესაჯათ ისინი. მხოლოდ ბავშვებისა და ქალებისათვის არ უნდა ეხლო[illegible] ხელი, რადგანაც მათ ბოროტ მოქმედებაში ბრალი არ მიუძღოდათ. სიმონოვიჩს განსაკუთრებით უნდა დაესაჯა „ქერპთ მსახურნი“ და ქურუმები, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე და სიძულვილსა და ზიზღს უნერგავდნენ რუსების წინააღმდეგ.

მაისის გასულს 1813 წელს, ხევსურეთისაკენ დაიძრა სხვადასხვა მხრით ოთხ რაზმად დაყოფილი ჯარი. თითო რაზმში 800 კაცი მაინც იყო[1]).

პირველი რაზმი გენერალ სიმონოვიჩისა, უნდა წასულიყო სოფ. ახმეტიდან პანკისის ხეობით (ალაზნის ხეობისაკენ) გაევლო ცოვის საზოგადოების სოფლები—ცარო, ინდურთი და ეტელდა.

მეორე რაზმი, პოლკ. ტიხანოვსკისა, უნდა წასულიყო თიანეთიდან, გაევლო ფშაველების ადგილები, ფშავისა და ხევსურის არაგვის ხეობა—სოფ. ხახამთისაკენ, აქ უნდა შეერთებოდა გენ. მაიორ სტალის რაზმს, რომელიც მიდიოდა ფასანაურიდან გუდამაყრის ხეობით და პოლკოვნიკ ყაზბეგის რაზმს, რომელიც უნდა წამოსულიყო სოფ. სტეფან-წმინდიდან გუდამაურის ხეობით—სოფ. გულისაკენ.

არამც თუ ისინი, ვინც არ ყოფილა კავკასიაში, სწერს ზისსერმანი, არამედ თვით იქ მოსამსახურენი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ მთა-გორიან ადგილების ბრძოლებში ვერ წარმოიდგენენ იმ ადგილების სურათს, სადაც მიმქმედებდა გენერალ მაირის სიმონოვიჩის ჯარი[2]) არსად კავკასიაში არ არის იმდენი ხრამ-ხვრელები და ღრე-ღელეები, როგორიც ხევსურეთის არაგვისა და არგუნის სათავეებში, აქ ყველაფერი ერთი ერთმანეთშია არეული და შეერთებული, რასაც კი შეუძლიან მნახველი განცვიფრებაში მოიყვანოს. ხევსურეთის ბუნება მართლაც ისეთია, რის მსგავსიც საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოიპოვება. ამას უნდა დაუმატოთ მამაცი და მხნე ხევსურები, ჩასაფრებულნი ასეთ საშიშ ადგილებში და ადვილი წარმოსადგენია თუ რა ძნელი უნდა იყოს აქ მათთან ბრძოლა და რა ძნელ პირობებში მოუხდებოდა სიმონოვიჩის ჯარს მოქმედება. ხევსურები, იმ დროის მიხედვით, რუსის ჯარზე ნაკლები შეიარაღებულნი არ იყვნენ. მათი თოფები, თუმც შინ ნაკეთები იყო, მაგრამ ბევრად სჯობდა ბაშინდელ რუსის თოფებს. მართალია რუსის ჯარს ზარბაზნები ჰქონდათ, მაგრამ ზარბაზნები მხოლოდ ხელ-ფეხს უბორკავდნენ რუსის მეომრებს. ასეთი უგზო-უკვლო ადგილებში ზარბაზნების თრევა მხოლოდ უსარგებლო ტვირთი იყო.[3])

ხევსურები თოფის სროლაში და ხმლის ვარჯიშობაში ბავშვობიდან შეზრდილნი არიან. მათი შესანიშნავი ხმლები „კალდინი“ ისე სჭრიდა რუსის სალდათის ხიშტს, როგორც ფიჩხსო,—სწერს ზისსერმანი.[4])

23 მაისს სიმონოვიჩი, ტიხანოვსკი და სტალი გაუდგნენ გზას. სიმონოვიჩი ძლივს-ძლივობით გავიდა ფონს ადიდებულ მდ. ილტოზე და მერე გაემართა პანკისის ხეობით.

ამ გზაზე სიარული მეტად ძნელი შეიქმნა. თოვლს სრულებით გადაესწორებინა ვიწრო ბილიკი, რომელიც ალაზნის ზევით მისდევდა. ამ გზით დიდი-გვერდასა (10959 ფუტია) და ანცუტუს (12,283 ფუტია) მთების გადალახვა ყოვლად შეუძლებელი იყო. სიმონოვიჩმა, თუშების რჩევით, რომლებიც თან ჰყავდა, გაიარა თუ არა სოფ. ხოროჯა, მარცხნივ მოუხვია და ფშავის არაგვის ხეობით წავიდა, მაგრამ არც ეს გზა იყო მაინცა და მაინცა პირველზე უფრო კარგი, თოვლის სიმაღლე გზაზე ხუთ არშინამდის აღწევდა. ბარგი გაყინულ ბილიკებიდან უფსკრულში ცვივოდა, ჯარის-კაცებს მოლიპულ გზაზე ფეხები უცურდებოდათ, ფოვლისა და ძის სხივებისაგან თვალთ უბნელდებოდათ. მიუხედავად ასეთი ცუდი გზისა, სიმონოვიჩმა მაინც, დიდი წვალებით ხუთი დღის შემდეგ შესძლო გადავლა უმაღლესი მთებისა, რომლებზედაც დღემდე მონადირეებიც ძლივს-ძლივობით ნადირობდნენ ჯიხვ-ჯეირნებზე. ჯარმა გადაიარა უმთავრეს უღელტეხილი სოფ. მატუროსთან (10,400 ფუტია) და სოფ. ხახბის გზით 30 მაისს არგუნის სათავესთან სოფ. ლაბანის კარში მივიდა. აქ უნდა მოსულიყო ტიხანოვსკი და სტალი თავის რაზმებით. სტალს გზაში დიდი შეტაკება მოუხდა მეამბოხეებთან. როგორც ზევითა გვაქვს ნათქვამი, ის თავისი რაზმით 23 მაისს გამოვიდა ფასანაურიდან და გუდამაყრისა და ბაკურის ხევის გზით წავიდა იმ უღელ-ტეხილისაკენ, რომელიც გუდამყრელებ[illegible]ა და ხევსურებს ჰყოფს. ამ გზაზეც მაღალი თოვლი იყო და სიარული ჯარს ძლიერ უძნელდებოდა. 25 მაისს სტალის რაზმი თავს წააწყდა ხევსურებს. მათ უკანახის მაღლობი დაეჭირათ და გაემაგრებინათ.

ესენი არ იყვნენო, ამბობს გენერალი პოტტო, უბრალო და ჩვეულებრივი მოწინააღმდეგენი—სპარსელები, ოსმალები ანუ ქართველი მეამბოხენი, რომლებიც არა ერთხელ უნახავს ჩვენ ჯარსო. ეხლა მათ წინ მაღალ კლდეზე იდგნენ მეომარნი, თითქმის ზღაპრული ბუმბერაზები თავიდამ ფეხებამდის რკინაში ჩასხმულნი.

იგრიალეს თოფებმა, მაგრამ საშინში და შეუპოვარი მტერი უძრავად იდგა და თითქოს სასაცილოდაც არ ყოფნიდათ ჩვენი სწორლულიანი თოფების ტკაცა-ტკუცი.

ერთად-ერთი საშუალება იყო იერიშის მიტანა, მაგრამ პირდაპირ მათზე მისვლა და თოვლიანი მაღლობის აღება კიდევ უფრო საშიში იყო და ცოტა მსხვერპლს არ მოითხოვდა. სტალმა რაზმის ერთი ნაწილი გვერდიდან მოსავლელად გაგზავნა თითონ კი იმავ დროს წინიდან შეუტია პოზიციას. ხევსურები მამაცურად შეხვდნენ იერიშს და თავის მხრივ ხმლები იშიშვლეს და მტერს ეკვეთნენ. ხევსურებს დიდი იმედი ჰქონდათ ომში არა ერთხელ გამოცდილ ხმლებისა და ჯავშნებისა, ამისათვის ძამაცურად მიიწევდნენ წინ, მაგრამ არც სალდათების ხიშტები გამოდგა ხმლებზე ნაკლები. ხიშტები გლეჯდნენ ხევსურების ჯავშნებს და თოფის კონდახით ამტვრევდნენ მათ ფარებს.

ხევსურები რუსებისაგან ასეთ წინააღმდეგობას თავის დღეში არ მოელოდნენ, გაკვირვებულნი რუსების ასეთი სიმამაცითა—დაიძრენ დ ბრძოლის ველი მიატოვეს.

მეორე დღეს სტალი არაგვის ფონს მიადგა სოფ. ბარის ახოსთან, აქ ფონი დაეჭერილი იყო ხევსურებისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა სტალმა 27 მაისს მაინც შესძლო ფონს გასვლა და მეორე დღეს ტიხანოვსკის შეუერთდა ხახამთის თავის უღელტეხილთან. ტიხანოვსკიმ, ექვსი დღის ტანჯვა-წვალების შემდეგ, ძლივს-ძლივობით მოაღწია ამ ადგილს. ამ ხაირად სამმა რაზმა, გარდა ყაზბეგისა, თავი მოიყარა სოფ. ლაბნის კართან. ყაზბეგის რაზმი სურსათის უქონლობისა და უგზოობის გამო დაგვიანდა და მხოლოდ 31 მაისს მივიდა არგუნის სათავესთან.

[1]) 1, სიმონოვიჩის რაზმს შეადგენდა: 357 კაცი ნერსონის გრენადერის პოლკისა, 440 კაცი მე-9 ეგერის პოლკისა 25 ყაზახი და 100 კაცი თუშელებისა.

2, ტიხანოვსკის რაზმს—808 კაცი კაბარდინის პოლკისა და 25 ყაზახი რუსი.

3, სტალისა—ორი როტა ხუზდალისა და ორი როტა მე-16 ეგერის პოლკისა, 4 ქვეითა ეკადრონი ნიჟეგოროდის პოლკისა, 50 ყაზახი სულ 766 კაცი.

4, ყაზბეგისა—ორი როტა ყაზანის პოლკისა, 50 ყაზახი და მისი მორჩილი მთის ხალხი.

[2]) ზისსერმანი 1844—1848 წლებში ხევსურეთში იყო და დაწერილებით შეისწავლა ეს მხარე. პოტტო, ტ. 2. გვ. 414. ისტორია კაბარდინის პოლკისა გვ. 321.

[3]) რუსულად ასეა ნათქვამი: Движеніе здѣсь артиллеріи не горной, не вьючной—остается для меня загадочнымъ, говоритъ Зиссерманъ. Потто т. 2, с. 416., კაბარინის პოლკის ისტორია.

[4]) Удивительные хевсурскіе мечи—„калдыны“ перерубили нашъ штыкъ какъ хворостину.

*) იხ. „სახ. გაზ. № 1136.

ბის აგებას თვის ხარჯით კისრულობენ, სახალხო სკოლების დირექტორმა დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა.

გაბოსათხოვარი სიტყვა

თერგის ოლქის ქართველებისადმი.

ამ ორი წლის წინად განვეშორე ჩემს საყვარელ სამშობლოს და განვეცხადი სამსახურში აქ თერგის ოლქში. მწუხარე ვიყავ, გარნა ვიხილენი აქაც ქართველები, მწუხარება შემომსუბუქდა. ძლიერ მსურდა აქ ყოფნა, თქვენს ახლო, მაგრამ, დახეთ ჩემს უიღბლობას! ახლა თქვენც გაშორდებით (აქ ადგილი დაიხურა ტესახსრობისა გამო).

მივდივარ თქვენგან და თან მიმაქვს ღრმა პატივისცემა და კეთილი მოგონება თქვენზედ. გისურვებთ ყველას ყოველივე კარგსა.

კავკავის ქართველებო! ბევრი გიშრომნიათ, ნაყოფი თქვენი მოქმედებისა ყველასთვის ცხადია. გიხაროდეთ! თუმცა ქართველების საერთო სენი თქვენცა გეპირსთ, კინკლაობთ, გაქვსთ ერთმანეთთან შეტაკება, გარნა არა უშავს რა, გულს ნუ გაიტეხთ; საზოგადო საქმეს ნუ დაანახებთ, რაც გაგიკეთებიათ, ის შეინახეთ. თქვენი უხვი მასპინძლობა არასოდეს არ დამავიწყდება.

ალაგირის ქართველებო! შეინარჩუნეთ რაქული მუყაითობა, შრომის მოყვარეობა; ქართული ეროვნული სული გაგამტკიცეთ თქვენ შორის ისე, რომ ვერასოდეს ვერ ამოიშალოს. სკოლას მოუარეთ ისე, როგორც აქმომდე უყვიდით. თქვენგან პატივისცემა, თქვენთან მოლხენა, თქვენი პატარეების. ქართული სიმღერები, განსაკუთრებით სამი ყმაწვილი ქალის მიერ საუცხოოდ შესრულებული „ისპოლა ეტი დესპოტა“ არასოდეს არ ამოიშლება ჩემს ხსოვნაში.

პიატიგორსკის და მის მახლობლად მდებარე კურორტების ქართველებო! ბევრ თქვენთაგანთან საამო წუთები გამიტარებია, „მადლობელი ვარ სტუმართმოყვარეობისთვის. თქვენთან დანაშაული ვარ, რო ვერ შეგაერთეთ რაიმე დაწესებულ ების გარ შეძო.

არ გირჩევთ სამკითხველოს გახსნას. ეს საქმე მალე ჩაიშლება: მკითხველები არ იქნება და ბევრ ხარჯსაც მოითხოვს, თქვენკი აქ ძლიერ ცოტანი ხართ, ესენტუკიდან და კისლოვოდსკიდან გაზეთის წასაკითხავად აქ არავინ მოვა. ი ჯერ ოა გააკეთეთ; როგორც მქონდა ზოგიერთ პირებთან ლაპარაკი, ითხოვეთ დაარსდეს აქ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გახყოფილება. ამოირჩიეთ გაიგეობა, რომელიც იკისრებს შემდეგ საქმეებს:

1) შეგროვება საწევრო ფულებისა და ნაწილის გაგზავნა ტფილისში მთავარ გამგეობაში.

2) მოკრეფა ფულისა რაიმე საზოგადო საქმისთვის საქართველოში.

3) გამოწერა ქართულ წიგნებისა დასარიგებლად მსურველთათვის.

4) ალაგმვა აქ მყოფ ზოგიერთ მავნებელ ქართველებისა.

5) ღარიბ ქართველთა დახმარება. ვსთხოვ ბ. ივანე ტყეშელაშვილს ეს საქმე ითავოს და განახორციელოს.

გთხოვთ კიდევ მოიპოვოთ წმ. ნინოს ხატი და დროებით დაასვენოთ საკრებულო ტაძარში, და ყოველ წელიწადს 14 იანვარს მოიყაროთ თავი ნინობის დღესასწაულობისთვის.

შვილებს ნუ გადააგვარებთ.

იყავით კარგად, მშვიდობით.

ეპისკოპოსი დავითი.

გაუგებარს ამბავი

ამ დღეებში ჩვეხა კავეთებმა. კიდევ გადმობეჭდეს ზოგიერთი რუსულ გაზეთებიდან ის „საუცხოო და მეაძარეუნებელი ამბავი სომეხ-კათოლიკეთა შესახებ, ვითომც დღეისშემდეგ ბძანება იყოს **რომის პაპისაგან,** რომ სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ უხდა აწარმოვოს ყველა საეკლესიო და სასკოლო საქმეები, ავრედვე ღვთის მსახურებაც ეკლესიაში ლათინურ ენაზე. ამასთანავე სომხები რომელნიც კათოლიკობას მიიღებენ, სომეხ-კათოლიკეთა კი ალარ უხდა იწოდებოდნენ არა ოდენ მხოლოდ კათოლიკედ.

ჩვენ გადაკრიბ არ ვიტყვით თუ რამდენად დასაჯერებელია ეს ამბავი. მაგრამ თუ მართალია, მაშინ როგორ უხდა აიხსნას ქართველ-კათოლიკეთა მდგომარეობა გახსაკუთრებით სამცხე საათაბაგოში, სადაც ბოიეტებულნი სომეხურ ტიბიკოხს ხმარობენ. ათ წელიწადზე მეტია, რაც სამცხე-საათაბაგოს ქართველი კათოლიკენი სთხოვენ „ვატიკანს ნება დართოს, რათა დაბრუნდნენ ლათინურ წესს, რომელსაც ძისდევდნენ მათი ნიმაარნი ძველად. ითლოდ XVII საუკუნეში დროთა ვითარების გამო საოხუთოების დასაცველად მეეხიზნენ იგნი ნესს სომეხურ ენაზე. დღევანდლამდის სამცხე-საათაბაგოს ქართველ-კათოლიკობამ ვერ მოიპოვა ვატიკანის თანხმობა ლათინურ ტიბიკოხზე გადასასვლისა. ეს ასე ხდება მხოლოდ ერთად ერთი მიზეზის გამო: ოსეთის ტახტი დიდ პატივსა სცემს ალმოსავლეთის ტიბიკოხებს და ეუდმავ ზრუნავს დაიცვას და გახანდ იეროს იგნი. ჩვენი ვერ ყარიოგვიდგენია, როგორ ოსდა, რომ ვატიკანმა სომეხებს უბრძანა ხელი აეღოთ გვაროვნულ ტიბიკონზე და ძიეღოთ ლათინური ენა, როდესაც ქართველ-კათოლიკეებს, რომელთათვისაც სომხური ტიბიკონი არ არის ძირითადი წესი, ნებას არ აძლევს გადავიდნენ ლათინურ წესზე.

ამას გარდა, ამ რამდენიმე წლის წინედ, ვატიკანმა დაუდგინა სომეხ-კათოლიკეებს სამოციქულო გამგე და დღესაც აზრად აქვს, რამდენიც შეიძლება, ახლო მომავალში დაუდგინოს მათ საკუთარი ეპისკოპოსი კავკასიაში. ვერც ის გაგვიგია, თუ ვატიკანი რა მიზეზით ავალებს ახლად გაკათოლიკებულ სომხებს, რომ მარტივად კათოლიკედ იწოდებდნენ და არა სომეხ-კათოლიკედ. დღევანდლამდის სიკეთის მეტი არა უქმნია რა ვატიკანს სომხებისთვის. ყველა ეს რომ გავითვალისწინოთ, როგორღა უნდა დაუჯეროთ ზემოდ-ხსენებულ გაზეთების ცნობებს. ნუ თუ ეს ყველა ლოდიკის გაქელვა არ გამოდის. ი ამისთვის ჩვენ სრულიად ვერ დავიჯერებთ ამ საუცხოვო ამბავს, რომელსაც გადმოგვცემენ ზოგიერთი გაზეთები უსაბუთოდ, ვიდრე არ წავიკითხავთ რომის პაპის განკარგულებას სომხების გალათინების შესახებ. ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უფრო დასაჯერებელია ის ამბავი, რომელიც თანდათან ვრცელდება. ხმები დადის რომ ყველა ეს ამბავი სომხების გალათინებაზე ჭორებია გამოგონებული ზოგიერთი მადალ წრეში მყოფთ სასულიერო პირთა დახმარებით ზოგიერთი უკიდურესი ნაციონალისტებისა, კერძო ინტერესების გასაძლიერებლად და ეგოისტური განზრახვათა განსახორციელებლათაო.

ვინმე ინტელიგენტი.

წერილი ქობულეთიდან

დაბა ჩურუქსუს აკრავს სოფლები: ქობულეთი, ალაძბარი, სამება, კვირიკე, წყავროკა და დიდჯამე. შარშან ადმინისტრაციამ გამოუცვალა ჩურუქ-სუს სახელი და დაარქვა „კამაროვსკაია“. ძალიან გულსატკენია შეგნებული ადამიანისათვის, ძველი მამა-პაპური სახელის დაკარგვა. თათრის მფლობელობის დროს დაერქვა ამ ადგილს ჩურუქ-სუ, წინედ კი ერთნაირად უწოდებდენ ქობულეთს და დღესაც ამ ადგილის სახელწოდება არ უნდა დაჰკარგოდა. სახელი ქობულეთი— ქობულეთელი“ უფრო გულის-სასიამოვნო სახელია, ეს მოგვაგონებს ჩვენს ვინაობას, ჩვენი სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, ამ სახელთან გამოიხატება ჩვენი ქვეყნის დიდება და ნეტარება. სახელის გამოცვლით არა მკითხე პირებს ჰსურთ ალმოფხვრიან ჩვენი ვინაობა, დაგვიკარგონ ჩვენი წინა ხანი და ბერძნისიც. ეხლა ჩვენს ქობულეთ-ჩურუქსუს ჰქვიან კამაროვკა—რომანოვკა—სმეკალოვკა. ჩვენი მისამართის დააწერა, რომ გინდოდეთ, უნდა დაჯეროთ: კამაროვკა— სმეკალოვკა—რომანოვკა და ხაზებში—ჩურუქსუ—ქობულეთი. ი ასე დომახალივით აირ-დაირია ჩვენი ისტორიული ქობულეთის სახელი. დაგა ჩურუქსუში (ქობულეთში) არის შემდეგი დაწესებულებანი: საპოლიციო მმართველობა კინტრიშის სახელით, სასოფლო მმართველობა, სამკითხველო, რკინის გზის სადგური ქობულეთის სახელით, საავადმყოფო, აფთიაქი, ორ კლასიანი სავაჟო და ერთ კლასიანი საქალებო სასწავლებლები—ჩურუქსუს სახელობით და ეკლესია სმეკალოვსკაია. უცხო ადამიანი, რომ მოხვდეს ქობულეთს უნდა უეჭველათ იყოლიოს თარჯიმანი, თორემ ვერას მიხვდება.

წინა წლებში ჩვენ ჯამეზედ ინინიშნებოდა ხოჯიებად უმეტეს ნაწილად გალმიელები, ქანები და იშვიათად აპარლებიც, რადგანაც კინტრიშის ხეობიდან ნაკლებად გამოდიოდენ სასულიერო პირნი. ეს ხოჯიები და მოლიები (დიაკვნები) არ იყვნენ ხასწავლნი პირნი—ლოცვები �იცოდეს მეტი კი არაფერი. დღეს ხოჯებად არიან, ხვალ კი ვაპრებად. ამისთვის ჯამეში ლოცვის დროს არ შეეძლოთ რაიმე ისეთი ეთქვათ, რომ ხალხის გულში აღეძრათ სწავლა-განათლების სიყვარული. თუ იტყოდენ იმას, სკოლები არ გახსნან, შვილები არ მისცენ, თორემ რჯულს დაკარგავენ, ჯამეში აღარ შამოვლენ, ურჯულო შეიქნებიანო.

ეხლა კი, ჩვენ და სანუგეშოდ ჩვენს ჯამეს მოევლინა მუდერისათ—(ხოჯა) ადგილობრივი ქობულეთელი მცხოვრები ხაფიზ-ეფენდი ციკავე.

იგი განათლებულია, მშვიდი და დიდი პატიოსანი, სამშობლოს მოყვარული. სასულერო განათლება მიიღო მან სტამბოლში. მისი მუშაობა აღსავსეა უანგარო ცხოვრებით და მისაბაძი მაგალითით. ისე დღე არ გაივლის, რომ მან მლოცველებს არ აუხსნას ჯამეში, რა ნეტარება არის სწავლა-განათლება ადამიანის ცხოვრებაში. ხაზიფ-ეფენდი სულ იმას ემუდარება სამწყოს, რომ შვილებს მისცენ განათლება. რჯული-ურჯულობა სწავლაზე არის დამყარებული.—ბევრნი არიან უსწავლელნი, რომლებიც არც ჯამეში დადიან და არც ეკლესიაშიო, აღარც ღმერთის არიან და აღარც, ეშმაკისასო. აქაური ადგილობრივი მცხოვრებნი, საუბედუროთ ყაზახანებში არიან დაჩვეულნი, დღე და ღამე ატარებენ ბანქოს და კამათელის გორებში. ი ამ ჩვეულებას მედგრად ებრძვის ხაფიზ-ეფენდი. გარდა ამისა, ის არის მოტრფიალემ რომ ქართული ენა კარგად შეისწავლონ აქაურმა მაჰმადიანებმა, როგორც ტომით ქართველებმა; მას დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის უფასო სამკითხველოს დაარსებაში, როგორც ქართველ მაჰმადიან მუდერის; თავის ქადაგებას საქმითაც ასრულებს. ხაფიზ-ეფენდის ყოველ დღე შეჰვდებიან, სამკითხველოში მისი მოლიებით (დიაკვნებით), სადაც გაბმულია ქართულ წიგნებ-გაზეთების კითხვაში. ხშირად შეხვდებით რომ იღლიით მიაქვს სახლში ქარ, თული წიგნები საკითხავად. ის არის მოუბნე, რომ სამკითხველომ იქონიოს ბავშვებისთვის ქართული დედაენა. ბ-ნ ციკავძეს, დიდი სულიერი განწყობილება აქვს ადგილობრივ ძღვდელთან მამა ვენიამინ ღლონტთან და ეს ორი სასულიერო პირნი ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან სიბნელეში სინათლის აღდგენისთვის.

ხუფუ-ეფენდი კაკაცაშვილი.

მუშაობა ცხოვრება

რუსეთში.

მუშების პროტესტები. სათათბიროში მყოფი მუშათა წარმომადგენლები ამ ბოლო დღეებში მომხდარ თათბირზე სახელმწიფოს დაცვის შესახებ არ მიიწვიეს. ამის გამო მუშებმა კრებები გამართეს, საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს მუშათა დეპუტატების უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ. ზოგიერთ ქარხნებში ამის გამო ერთდღიური გაფიცვაც გამოცხადდა. სხვათა შორის ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა რეჩკინის ქარხნის 2000 მუშამ, სიმენეს შუკერტის ქარხნის 1000 მუშამ, ოზოლინგის ქარხნის 400 მუშამ და სხვ. გაფიცვებმა სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა. საპროტესტო რეზოლიუცია სახ. სათათბიროს ს. დ. ფრაქციას გაუგზავნეს.

გაფიცვები. მუშათა გაფიცვებისა, საპროფესიო კავშირებისა და მუშათა განმანათლებელ საზოგადოებათა დევნის წინააღმდეგ, პეტერბურგში 6 მარტს გაიფიცა: ახალი ლენერის ქარხნის—1500 მუშა; ინ. ვეისლავის ქარხნის—900 კაცი; ზიგელის ქარხნისა—800 კაცი; შვარცის სტამბის —25 კაცი, რეჩკინისეულ ქარხნისა—2000 კაცი.

სტამბებში. ნაციონალისტთა გაზეთ „ბოლოს რუსის“ სტამბაში გაფიცვა გრძელდება. იაბლონოვის სტამბაში მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს. იაკოვლევის სტამბაში მუშებმა 38 მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას. რადგან მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს, მუშაობა არ შეწყვეტილა.

„ხულიგანის“ გაძევება. პეტერბურგში ახალი აივაზის ქარხანაში ერთმა მუშამ ბილწი წინადადებით მიმართა მუშა-ქალს. ქალმა უარი განაცხადა, რის გამოც ამ მუშამ მოინდომა შური ეძია. მოასწრო ქუჩაში, მოგლიჯა თავიდან თავსახვევი და ცემა დაუწყო. ჩაერია პოლიცია და ხულიგანი მუშა საპოლიციო ნაწილში წაიყვანეს. მუშებმა რომ ქალის შეურაცხყოფა გაიგეს, მუშაობას თავი დაანებეს, მივიდნენ თავისს ადმინისტრაციასთან და მოსთხოვეს, დაუყონებლივ დაეთხოვათ ქარხნიდან ხულიგანი მუშა, თორემ მუშაობას შეგვწყვეტთო. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული იყო გაეძევებინა ხულიგანი მუშა. მუშებმა გადასწყვიტეს, უფრო მკაცრი ზომები მიიღოს ხოლმე ასეთ ხულიგან მუშების წინააღმდეგ.

გაფიცვა. სამკურნალო სახელოსნოებში გაფიცვა თანდათან ვრცელდება; რადგანაც სეზონის სამუშაო ბევრი აქვთ. იაკობსონის სახელოსნოში ხელფასის მომატება ითხოვეს. ალაფუზოვის სამხედრო სამკერვალო სახელოსნოში ქარგლები გაიფიცნენ, და ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა მოითხოვეს. გარდინოვის სახელოსნოში გაფიცულების მაგივრად ახალი მუშები მიიღეს.

ახალი ლენერის ქარხანაში გაფიცულ მუშებს გამოუცხადეს, ანგარიში მიიღეთ. ისევე გამოეცხადა კუდრიაშევის ფაბრიკის მუშებს, რომლებიც გაიფიცნენ და მოითხოვეს, დაეთხოვნათ ოსტატი, რომელიც მათ უდიერად ეპყრობოდა.

„ქალთა დღე.“ „ქალთა დღის“ წინად 40 ქალი დაუტუსაღებიათ. მათ ქალთა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრობა ჰბრალდებათ. ამ დღეებში მათი საქმის გამოძიება დასრულდება. ყველა დატუსაღებული ქალები ცალ-ცალკე ჰყავთ დაპატიმრებული.

უცხოეთის მიმოხილვა

გერმანია

ევროპის ცაქნილზე შავი ღრუბლები იკრიბება. რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება, პრესაში მაინც, უმწვერვალესად გამწვავებულია. საფრანგეთ-გერმანია ისედაც მტერმოყვარენი იყვნენ და ეხლა ხომ ერთმანეთს სასიკვდილოდ კბილებს ულესავენ. ინგლისი ხომ დიდინნის დაუძინებელი მტერია გერმანიის, როგორც ძლიერის მეტოქისა სამრეწველო და სანავოსნო საქმეში.

საქმის ასეთი გამწვავება არც ისე უსაბუთოა. გერმანია მართლაც რომ დიდის ნაბიჯით იზრდება და ყველა დარგში წინაურდება, როგორც შინ სამრეწველო-სამეურნეო და სამხედრო დარგში, ისე მსოფლიო ბაზარზედაც.

სახულისხმოა, ერთი თვალის გადავლებით გადავხედოთ გერმანიის წარსულს და გავითვალისწინოთ მისი სულიერი ზრდა, მისი ინტელიგენციის მდგომარეობა ამ ერთი საუკუნის განმავლობაში.*) ინტელიგენციად ვგულისხმობთ არაც თუ მხოლოდ საგწერლო ასპარეზზე მოღვაწეთ, უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთ—ექიმ-ვეტერინერებს და სხვა, არამედ იმათაც, რომელთაც უწყებულ დარგში მუშაობის დროს სჭირდებათ სახალხო სკოლის კურსზე გაცილებით მეტის ცოდნა. ეს ინტელიგენცია, ესე იგი ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც თავისი გონებრივის და არა ფიზიკურის შრომით ეწევა ცხოვრების ეპაპახს, იმავე დროს, თავისი მდგომარეობით აწარმოებს ან სათავეში უდგას ქვეყნის ყოველგვარს წარმოებას: მრეწველობას, ვაჭრობას, ტეხნიკას, მეურნეობას, ბანკებს და სხ. ამ ასი წლის წინად მთელი ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად სადა რამ იყო. გერმანიაში მაგალითად, 1816 წელს მთელ მცხოვრებთა სამი მეოთხედი მიწის მხვნელი იყო, პატარა-პატარა, უმნიშვნელო და ბიურუებულს ქალაქებით. არც რკინის გზები, არც გემები, არც ტელეფონ-ტელეგრაფი, ქარხნების ხსენებაც არსად იყო. იმ ხანად, ცხადია, ინტელიგენციაც მეტად მცირე-რიცხვოვანი, დაქსაქსული იყო და მის შემოქმედებას სათანადო ფასი და გასავალი არა ჰქონდა. ყველასთვის კარგად ცნობილი დიდებული დრამატურგი შილლერი ოფიციალურად მიჩნეული იყო, როგორც უმნიშვნელო პოლკის მკურნალი.

ამ ასმა წელიწადმა კი გერმანიის ცხოვრება არსებითად შესცვალა. გაშენდა უზარმაზარი ქალაქები, ყოველკუთხეს ძოეფინა ქარხანა-სამრეწველოები, ტელეგრაფ-ტელეფონთა ქსელი ქვეყანა დაესელა, ეატარებლებმა უდიდესი მთები დაბვრიტა და თვალუწვდენელი უდაბური ადგილები დასერა, ბუმბერაზმა გემებმა ოკეანეთა უძირო გული გადასერეს.

ცხადია ამ ზრდასთან ერთად ერთ-ერთ ზრდებოდა ინტელიგენციის რაოდენობაც, გონებრივი შრომა სამრეწველო ქვეყნისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად გახდა, ასპარეზი გაუფართოვდა, პროფესიად, საარსებო პროფესიად გადაიქცა.

ეს ინტელიგენცია მიუძღოდა გერმანიას წინსვლის გზაზე, იგი იყო ხელმძღვანელი ყოველ სამეურნეო, სამრეწველო, საადგილმამულო, სანავოსნო, საბანკო თუ განათლების საქმეში.

გერმანიაში, 1907 წლის სულთ-აღწერით, ასეთი ინტელიგენტთა რაოდენობა ერთ მილიონსა და ოცდა ჩვიდმეტ ათას უდრიდა (მცხოვრებთა რიცხვის 3,9 პროც.). აქ ნაგულისხმევია როგორც საზოგადო დაწესებულებებში და თავისუფალ პროფესიის მოღვაწენი, ისე ქარხანა-სამრეწველოების ტეხნიკური შემადგენლობა, სავაჭრო თუ საბანკო კანტორებში მოსაძსახურენი და სხვანი. საერთო რიცხვით უწყებულ წელს გერმანიაში 3,156 ათასი ინტელიგენტი ყოფილა (11,3 პროც.) ამ რიცხვიდან ნამდვილ გონებრივი შრომით არსებულ პირთა რაოდენობა 15 ნახ. მილიონი მაინც იქმნებოდა.

ამავე დროს გერმანიაში 15 მილიონი ნამდვილი ბოგანო (პროლეტარი) ირიცხება. ერთის შეხედვით იფიქრებთ თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამო დენა ბოგანო მუშა ხალხში. მასთან შედარებით მეტად მცირე ინტელიგენციასაო. მაგრამ თუ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას გაითვალისწინებთ, დარწმუნდებით, რომ მისი მნიშვნელობა უზომოა.

ინტელიგენცია, როგორც გონებრივი შრომის მწარმოებელი იმ მანქანის დედა-გულის მემანქანეს ემსგავსება, რომელიც მთელი მანქანის მოძრაობას აწესრიგებს.

მართლაც და, ინტელიგენცია აწარმოებს ქარხნებსა, ბანკებისა და საადგილმამულო ამხანაგობათა საქმეებს. მის ხელშია მეცნიერება და ტეხნიკა. იგია აღმზრდელი მოზარდი თაობისა. იგია ბატონი და ხმის მიმცემი პრესაში, იგი ჰქმნის „საზოგადოებრივ აზრს“. ინტელიგენცია ბატონობს სათეატრო ხელოვნებაში თუ კაზმულ მწერლობაში. მას ხელში უჭირავს პარლამენტი (გერმანიის რეიხსტაგში 397 დეპუტატში 181 (46%) „ინტელიგენცია“, ხოლო ავსტრიისაში—512 დეპუტატში 266 (52%).) და მთელი საკანონმდებლო ძალა. მხოლოდ ინტელიგენტთა გაფიცვა კმარა, რომ ბუმბერაზ მრეწველობას მაჯის ცემა დაუდგეს, მთელი ინტელიგენციის გაფიცვა კი, (მოსახერხებელი რომ იყოს) უკეთეს დღეში არ ჩააგდებდა ქვეყანას, ვიდრე საყოველთაო გაფიცვა მთელი-პროლეტარიატისა.

ამისათვის მეტად საგულისხმოა ვიცოდეთ ამ ინტელიგენციის პოლიტიკური მრწამსი, კლასობრივი მიდრეკილება და მისი დამოკიდებულებულება მუშათა სოციალურ მოძრაობასთან.

რომელიმე ბანკის დირექტორი და ამ ბანკის კანტორაში მოსამსახურე მოხელე, ქარხნის უფროსი ინჟენერი და ამავე ქარხნის უბრალო მხაზავი—ინტელიგენტებია, მაგრამ ბანკირ-ინჟენერი თავისდათავად უფრო შეძლებულ, გაბატონებულ კლასთა ზნე-ჩვეულებისკენ იხრება, მოხელე-მხაზავი კი პროლეტარებისაკენ. მაგრამ რადგანაც ბანკირ-ინჟენერები, საერთოდ რომ ვსთქვათ, ძეტად მცირე რაოდენობას წარმოადგენენ ამისათვის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა ინტელიგენტ დემოკრატიაში უნდა ჩაირიცხოს.

როგორია ნივთიერი მდგომარეობა ამ დემოკრატიული ინტელიგენციისა?

გერმანიის მრეწველობაში ყველაზე მეტი ტეხნიკოსია. 1912 წ. გამოიცა ცნობები ტეხნიკოსთა შორის მომხდარი ანკეტისა რომელიც მეტად გავლენიანმა ტეხნიკოსთა ორგანიზაციამ მოახდინა („Der Deutsche Technikeverbad“). 11500 პასუხი მიუღიათ; ამ პასუხის მიხედვით შემდეგი ცნობები გამოამეღავნეს:

ტეხნიკოსთა სამუშაო დღე:

საამშენებლო დარგში ზემოხსენებულ რიცხვიდან უმუშავნიათ დღეში.

	8 საათ.	9 საათ.	9 საათ.	მეტი.
				არა უმეტეს
ზაფხ.	21,55%	31,73%	46,72%	
ზამთ.	33,58%	51,16%	15,26%	

სამრეწველო დარგში:

	8 საათ.	9 საათ.	9 საათ.	მეტი.
				არა უმეტეს
ზაფხ.	38,63%	41,79%	19,58%	
ზამთ.	41,33%	44,14%	14,53%	

მაშასადამე ზამთარშიაც კი, ინჟენერებისა და ტეხნიკოსების ორ მესამედს დღეში 9 საათი მაინც უმუშავნიათ.

საამშენ. დარგი.			**ინდუსტრია.**
1500	ნაკლები	20,24%	14,42%
1500	1800	13,43 „	9,84 „
1800	2100	18,28 „	16,43 „
2100	2400	11,88 „	11,67 „
2400	2700	12,69 „	13,68 „
2700	3000	4,66 „	7,25 „
3000	3600	7,96 „	10,66 „
3600-ზე		მეტი 8,01 „	14,96 „

მაშასადამე, საამშენებლო დარგში ინჟინრებისა და ტეხნიკოსების 54 პროც., და სამრეწველო დარგში 40 პროც. ხელფასად აუღიათ ორთაშუა რიცხვით 972 მან. წელიწადში, ანუ თვეში 80 მან.

ხოლო საამშენებლო ნაწილში 84 და სამრეწველოში 75 პროც. ინჟენერ-ტეხნიკოსებს აუღიათ თვეში არა უმეტეს 116 მანეთისა.

ასეთივე ანკეტა მოახდინა მეორე სატეხნიკო ორგანიზაციამ ბერლინსა და მის მიდამოებში „Bund der Technisch - Industriellen Beamten“) ეგრედ-წოდებული Gross-Berlin). საშუალო ჯამაგირი შესვლისას განისაზღვრებოდა 50 მან. ზემოხსენებუ-

---

აო იყო, გარეულ თხებს თუ გაევლოთ ამ ადგილებზე, ისიც ძვირად. ჯარის-კაცები კლდეებზე სათითაოდ ძიცოცავდნენ, ერთმანეთს ეხლაუქცბოდნენ, ერთმანეთს შველოდნენ. ხელს სჰიდებდნენ ყოველ ქვასა, ხმარად ფეხქვეშ დაცურებული ქვებით უკანაებს უმასპინძლდებოდნენ. ჯარის მთლიანობა დაირღვა, იწყეს აქა-იქ ცალ-ცალკე ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა თავგანწირული[1]). სიმამაცე რუსის მხედრობის და შეუპოვრობა ხევსურებისა ერთი ერთმანეთს სჭარბობდა. თითვეული ქვა და კლდის ნაპერი, რომელსაც კი იბორჩილებდა რუსის საღდათი ბეღებული იყო ხევსურეთს სისხლით, რომელებიც ადგილიდან დაუძვრელად იდუპყოდნენ და ხიშტებზე ეგებოდნენ.

ნელ-ნელა იძვროდნენ წინ ტიხანოვსკი და სტალი. სიმონოვიჩიც ბიუნდავად თავისი მამაცობისა იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა თავის. არჩეული გზა და გადასულიყო მდ. არგუნის ძარცნენა მხარეზე. მდინარე არგუნის ხეობა ისე ვიწრო იყო, რომ მდინარეც ძლივს ეტია და გასავალი ბილიკიც კი არ იყო ისე ახლო მოსსოლოდენ გარშემო კედლები მდინარეს. ყოველს ას-ორას ფეხის ნაბიჯის მანძილზე უნდა გადახვიდე მდინარეს ერთი ნაპირიდან მეორეზე. მდინარეზე გასვლა შეიძლება უბრალო დროებით გაკეთებულ ხიდებზე ფონში გასვლა კი ყოველად შეუძლებელია. თუ კი ხიდები ჭ ფონ ხეებიც დაქერილია თუგინდ ძვირე ჯარით, მაშინ ამ გზით გავლა არავის შეუძლიან. სიმონოვიჩმა ამის გამო მიატოვა ეს ხეობა, გავიდა მდინარის ძარცხენა ნაპირს და უკან გაჰყვა ტიხანოვსკის ოგხეს. სტალის რაზმი ეხლა სრულიად ძარტო დარჩა ბდ. ძარჯვეხა ხეარეს. სტალმა ძარტო დარჩენა ვერ გაუძლო, ჯარი გაიდა გაიყვახა და სიმონოვიჩს და ტიხანოვსკის შეუერთდა. ესენი კი ხელ-ხელი მიეყენებზეს ენ სოფ. გურუსაკენ და ყოველ ფეხის ადგილ ადგილის დაპყრობა უხდებოდათ.

საღაროს ხანი ახლოვდებოდა, მაგრამ ხევსურების შეუპოვარი წინააღმდეგობა კი არ სტყდებოდა, ისევ ეხეოგიითა და სიმაძაცით, როგორც ძალით იცავდნენ და თავს აკლავდნენ სამშობლოს კლდე-გორასა. ბოელმა გააშორა ლროეითი მიწინაღმდეგენი. ჯარი დაბახაკლა ლაბის გასათეკად სოფ. ტალაბაროს ქალასთან, სწორედ იმ თოვლიან კლდეღრეებზე, რომელის დაქერას ძალი დღე მოუხდენ. გათენდა თუ არა, ხელ-ახლავ შეიქეხა სისხლის ღვრა. ხევსურნი და ქისტები ყოველ ძხრიდან იძოროდნენ, უხდოდათ გზები მოეკრათ და სიმონოვიჩი სოფ. გურუსაკენ არ გაეშვათ.

დაიწყო სასტიკი ბრძოლა, მოწინააღმდეგენი სიძაბაცით და შეუპოვრობით ერთი ერთმანეთს არ უვარდებოდნენ. ბაგრამ ღვთის წყალობითა სწერს რტიშევი თავის მოხსენებაში, ხევსურები და ქისტები ძლეულ იქმნენ ყველა ადგილებს და აქეთ იქით ხევებში მიიძალნენო.

დამარცხდნენ ხევსურები; ბრძოლის ველზე 600 ჯოკლული მეომრის გვამი დასტოვეს.*)

სიმონოვიჩმა ამ დღესვე, 1—ივნის, ეერიში ძიეტანა სოფ. გურუზე, რომელიც აიკლო და ოხრა სამუდამოდ. ხევსურები იმდენად გულძოკლულნი დარჩნენ წინა დღის დამარცხებით, რომ 2-ივნის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ რუსის მხედრობისათვის.

ვ. ბაბესაძე.

(შემდეგი იქნება)

1) ამის შესახებ რტიშევი უქვეშევრდომილესად სწერდა 11 ივლის 1813 წ. Одинмъ только неустрашимымъ россійскимъ войскамъ, преисполненнымъ единодушнаго усердія къ службѣ Вашего Императорскаго Величества и къ силѣ оружія, свойственно пройти сіи мѣста и восторжествовать надъ всѣми проходами... Ѕ.ПТФ. ტ. II §§. 419.

*) რამდენი კაცი დაჰკარგა ხევსურეთში რუსის მხედრობამ, საუბედუროდ ვერსად ცნობა ვერ ვიშოვე, ერთ ადგილას ნათქვამია, რომ ხევსურეთში 123-ჯარის კაცი და ორი აფიცერი დაკარგეს რუსებმაო, მაგრამ რამდენად მართალია არ ვიცი.

*) ამ წერილისთვის მასალა ამოღებულია ვ. მაისკის წერილიდან ჟურნალი „რუსსკ. ბოგატ.“ № 1, 1914 წ.)

ლი ორგანიზაცია ეხლა სცდილობს, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსებს მიღებისათანავე ეძლეოდეთ თვეში 70 მანეთი თვეში.

1910 წელს მოახდინეს ანკეტა საგაჭრო დაწესებულებათა და ქალაქის მოსამსახურეთა შორის („Yerband deutecher Handlungsgehilfen“ ლეიპციგშია) ეგრედ წოდებულ კომერციულ არისტოკრატიაში და 1352 პასუხიდან ასეთი დასკვნა მიიღეს:

ხელფასი

1800 მარკაზე*) ნაკლები.	154	(11,4%)
1800—2400	503	(37,2 „)
2400—3000	369	(27,3 „)
3000—3600	189	(14 0 „)
3600-ზე მეტი	137	(10,1 „)

აქაც შეკითხულთა სამს მეოთხედს თვეში ჰქონია არა უმეტეს 116 მან.

ბერლინის ქალაქის საგაზო ქარხნის კანტორის მოხამსახურეთა ხელფასი 52—83 მან. უდრის, საშუალოდ კი 60 მანეთს.

ქალაქის სასაკლაოზე მომუშავენი წელიწადში 650—1070 მ. იღებენ.

ქალაქის ტეხნიკოსები სამსახურს 70—76 მანეთიდან იწყობენ და 18 წელიწადი უნდა იმსახურონ, რომ თვეში 116—139 მანეთს მიაღწიონ.

სცენის მოღვაწენი. 1907—1908 მომხდარ ანკეტის მიხედვით, რომლითაც შეეკითხნენ 13 მოგზაურ დასს და 237 მუდმივ თეატრს გერმანიისა ავსტრიისა და შვეიცარიისა; 2112 პირისაგან მიღებულ პასუხით შემდეგი გამოირკვა.

თვიური ჯამაგირი:

50 მარკაზე	ნაკლები—	5,1 %
50 — 100	—	19,6 „
100 — 200	—	43,6 „
200 — 300	—	14,0 „
300 — 400	—	7,7 „
400 — 500	—	4,9 „
500 — 600	—	2,1 „
600 — 800	—	2,4 „
800 — 1000	—	0,6 „

მაშასადამე შეკითხულ მსახიობთა ორ მესამედს თვეში ჰქონია ჯამაგირად არა უმეტეს 93 მანეთისა, ერთ მეხუთედს—არა უმეტეს 133 მანეთისა.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მსახიობთა დიდი უმეტესობა ვალდებული იყო თვეში 16-ჯერ მაინც ეთამაშნა და მომეტებულ ნაწილს სასცენო ტანისამოსიც თავისი ხარჯით შეეკერნა.

როგორც 1911 წლის ცნობებიდან სჩანს, გერმანიაში 13 ათასი მსახიობი ყოფილა და თავისი პროფესიონალური კავშირიც ჰქონიათ. 1913 წელს მომხდარმა სასცენო მოღვაწეთა ყრილობამ უკვე გარკვეული საპროფესიო სახე მიიღო და შესაფერი პოზიცია დაიჭირა ანტრეპრენიორის მიმართ თავისი პროფესიული ინტერესების დასაცავად.

სახალხო მასწავლებლები. 1910 წელს გამოცემულ კანონით პრუსიაში, მასწავლებელ—კაცის ჯამაგირი სამსახურის დაწყებისას წელიწადში 1,400 მარკას უდრის, ქალი-მასწავლებელისა—1,200 მარკას. სულ უდიდესი ჯამაგირი, რომელიც შეიძლება მიიღწიონ არის კაცისა—4,200 მარკა, ქალისა—2,950 მარკა. პრუსიის მოკავშირე სხვა სახელმწიფოებშიც თითქმის იგივეა.

მწერლობა. გერმანიის პრესის წარმომადგენელთა გასამრჯელოს რაოდენობის გამოსარკვევად შეიძლება ნიმუშად ავიღოთ სოც.-დემოკრატების გაზეთში მიღებული რაოდენობა (Yerein Arbeiter-presse) ს-დ-ბის გაზეთი მუდამ სცდილობს „სამართლიანი გასამრჯელო“ მისცეს თანამშრომელს. ზემოხსენებულის ნიხრით, გაზეთის „რედაქტორს“ (ე. ი. გაზეთის რომელიმე განყოფილების გამგეს) პირველად ენიშნება წელიწადში არა ნაკლებ 828 მანეთისა (თვეში 69 მან.) და თანდათანის მიმატებით 1,935 მანეთამდე ადის (თვეში 161 მან. კაპეიკებით). ამის ზევით კი მომატება დამოკიდებულია გამომცემლისა და თანამშრომლის შეთანხმებაზე. რეპორტერის უმცირესი ჯამაგირი წელიწადში 696 მანეთს უდრის (თვეში 58 მან.), ხოლო ყოველ წელიწადს ემატება 96 მანეთი. (200 მარკა).

ექიმები. სამხედრო ექიმები—ასისტენტები და უფროსი ექიმები წელიწადში ღებულობენ—შტაბის ექიმები 3,400—5100 მარკას. შტაბის უფროსი ექიმები—6,552 მარკ. ექიმი-გენერლები—8,872 მარკას (4000 მანეთამდე). თითქმის ასეთივე ჯამაგირები აქვთ მთავრობისა, სამოქალაქო დაწესებულებათა და ქალაქის ექიმებს. საშუალოდ გერმანული კერძო ექიმი წელიწადში აიღებს 4000—5000 მარკას (1920—2400 მანეთი).

*) მარკა 48 კ—ი.

მოყვანილ ცნობებიდანაც სჩანს, რომ ინტელიგენციას თავისი საკუთარი ცოდნის მეტი სხვა საცხოვრებელი წყარო არ გააჩნია. შეძლებული და გაბატონებული ნაწილი საზოგადოებისა სცდილობს, რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ნაკლების სასყიდლით გამოსწოვოს მათ ტვინის ძალა. ეს არის ინტელიგენციის ხვედრი კაპიტალისტურ წყობილების ნაკარნახევი.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ აუტანელ პირობებში მყოფი ინტელიგენცია არ შეიძლება ებღაუბოდეს არსებულ წყობილებას და მით უმეტეს მადლიერი იყო თავის ნივთიერ მდგომარეობისა.

და იგი ბუნებრივის მიდრეკილებით იხრება იმ მშრომელთა მრავალფეროვან ლაშქრისაკენ, რომლის დროშაზედაც წარწერილია მთელი კაცობრიობის განთავისუფლება სოციალურ ბატონ-ყმობისაგან. ნ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

10 მარტი.

უცხოეთი.

მადრიდი. გუშინ სენატის წევრებად აირჩიეს 92 კონსერვატორი, 51 ლიბერალი, 90 კათოლიკე, 7 რესპუბლიკელი, 10 სხვა პარტიისა.

ამსტერდამი. ნიდერლანდიის ბანკი 4% მაგიერ 3½% ღა იძლევა.

ბომბეი. ბაზრის საწყობს ცეცხლი წაეკიდა. ზარალი ნახევარ მილიონი გირვანქაა.

ტოკიო. ახალ გემთა ასაგებ პროექტის განხილვის დროს ორივე პალატა თავ-თავის აზრზე დარჩა, რის გამოც პარლამენტის სხდომა სამი დღით შესწყდა. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სამსახურიდან გადადგეს.

ვენა. კორფაზას კუნძულისაკენ მომავალმა იმპერატორმა ვილჰელმმა, გზად იმპერატორი ფრანცი—იოსები ინმხულა.

სოფია. ბულგარეთის საგენტო იტყობინება, რომ 7 მარტს მაკედონიიდგან გამოქცეულნი პეხჩევის მიდამოებში აპირებდნენ ბულგარეთის ტერიტორიაზედ გადასვლას, მაგრამ სერბიის საზღვრის დარაჯებმა სროლა აუტეხეს. მაკედონელებმა სროლითვე უპასუხეს. ორი სერბიელი ჯარისკაცი დასჭრეს.

ვენა. კუმბერლენდის ჰერცოგის ვილჰელმთან დარბაზობის დროს იმპ. ფრანც-იოსებიც იქ ყოფილა. ვილჰელმმა საპასუხო დარბაზობა გადუხადა ჰერცოგს. შეხვედრა გულითადი იყო. ფრანც-იოსებმა ვილჰელმი სადგურამდე გააცილა. გამოთხოვება მათი ძალიან გულითადი იყო.

რომი. სამხედრო მინისტრი ოფიციალურად ჯერ არ დაუნიშნავთ. ორი დღეა გენერალ პიროსთან მოლაპარაკება აქვთ.

ათენა როგორც გაზეთები იუწყებიან ლესკოვიდან, ალბანელებმა იერიში მიიტანეს სოფელ სალუსზე, მაგრამ მცხოვრებლებმა უკუაქციეს. ალბანელებმა დაჰკარგეს რამდენიმე კაცი მოკლულ-დაჭრილი. კორფოს კუნძულზე შეფის ოჯახი იმპერატორს ვილჰელმს ინახულებს. ჰფიქრობენ, მეფე იმპერატორს ათენაში მიიწვევსო.

ვენა. იმპერატორი ვილჰელმი სახხრეთით გაემგზავრა.

ქარიზი. დეპუტატთა პალატამ მიიღო სენატის მიერ დამტკიცებული წინადადება, რომელიც საოფლეს საწინააღმდეგო აკრას ჯარში სავალდებულოდ ხდის.

აჯანყება ინგლისში.

ლონდონი. სამინისტროს ახლოს დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა და მინისტრთა საბჭოს კრების დაწყებას ელოდა. ასკვიტის დამამშვიდებელმა ცნობამ გაზ. „ტაიმსში“, სიდაც იგი უარსა ჰყოფს, ვითომც კარსონისტების დატუსაღება ჰქონდეთ აზრად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ოფიცრების სამსახურიდან გადმოსვლა გაუგებრობის ბრალიაო. იმედოვნობენ, რომ ოფიცრები თავ-თავის ადგილზე დარჩებიან, რადგანაც მთავრობა ულსტერის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნას არ აპირებს, მხოლოდ საწყობების თვალ-ყურის დგება სდომებიათ.

საზოგადოებათა პალატა. დიდი აღელვებაა. ასკვიტისა, ლოიდ-ჯორჯისა, ბონარ-ლუს და ბალფურის მოსვლას ყიჟინით მიესალმნენ. სამხედრო მინისტრი სილი თითქმის იგივეა, ცნობას, რომელიც თითქმის იგივეა, რაც ასკვიტის განცხადება „ტაიმსში“. მინისტრი აცხადებს, რომ რამდენიმე აფიცერი გაუგებრობით გადადგა სამსახურიდგან; ეხლა იმით მიუღიათ ბრძანება ისევ პოლკებში დარჩნენ, რადგან ჯარის გადასვლა-გადმოსვლას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—საწყობებისა და იარაღის დაცვა. ბონარ-ლოუ ცხარედ აკრიტიკებს სილის განცხადებას, მოჰყავს გენერალ პიჯეტის წერილი, რომელიც აცნობებს, ულსტერის წინააღმდეგ მოძრაობა იწყობა, ამ მხარეს ამბოხებას ცეცხლი ედებაო. მოლაპარაკე უმატებს, არამც თუ კავალერიის ოფიცრებმა დაანებეს თავი სამსახურს, ასევეა ჯარის სხვა ნაწილებშიაც; ჯარის გადასვლ-გადმოსვლა, როგორც გამაფრთხილებელი ზომა, უაზრობა იყოვო.

ირლანდელი ჯარების მთავარსარდალი სამხედრო მინისტრს ეუბნებარა რის შემდეგაც მინისტრთა საბჭოს საგანგებო კრება მოხდა. ამის შემდეგ სამხედრო მინისტრი დაუყოვნებლივ მიიღო მეფემ და დიდხანს ესაუბრა. სამხედრო მინისტრის დაბრუნებისას საბჭოს კრება დასრულდა.

მესამე კავალერიის ბრიგადის 75 ოფიცერმა ირლანდიაში გენერალ გაუს მეთაურობით სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. როცა სამინისტრომ აუხსნა, რომ ისინი ულსტერში მხოლოდ სახაზინო საწყობების დასაცავად მიდიანო, ისინი დასთანხმდნენ ამ მიზნით ულსტერში წასვლას და ამასთანავე გადაწერეთ განაცხადეს რომ მცხოვრებთა წინააღმდეგ არ ვიმოქმედებთო. გენერალი და პოლკოვნიკები, რომელნიც კავალერიის ორს პოლკს უფროსობენ, ლონდონში დაიბარეს. კავალერიის გადაყვანა დროებით შეჩერებულია. ირლანდიის ქვეითა ჯარსა და არტილერიაშიაც რამდენიმე გადავიდა სამსახურიდან, მაგრამ მთელი ქვეითა ჯარი და არტილერია მორჩილად გაემართა ულსტერისაკენ.

უნიონისტთა გაზეთებს ოფიცრების საქციელი მოსწონთ, და აცხადებენ, ეხლა უნიონისტებმა უნდა იზრუნონ იმათს ბედზედო. ლიბერალური გაზეთები ოფიცრების საქციელს პოლიტიკურ გავლენას აწერენ და აცხადებენ, იმათ მეტის სიმკაცრით უნდა მოვექცეთ, თორემ ინგლისში ჯარი გაბატონდებაო.

ბაზელი. მფრინავი ბორერი ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. მფრინავმა გაბერლინსკიმ დააწესა ახალი საქვეყნო რეკორდი მაღლა ასვლისა. მგზავრით 20 ფუთის ბარგით 25 წუთში 2000 ადლის სიმაღლეზე საიდგანაც 7 წუთში დაეშვა.

პეტერბურგი. მუშათა საკითხის კომისიამ მიიღო საკანონმდებლო წინადადება, რათა დაწესდეს ქალთა საქარხნო ინსპექცია. აზრადა აქვთ დაარსონ 40 თანამდებობა საქარხნო ქალ-ინსპექტორებისა წელიწადში 2,500 მან. ჯამაგირით.

კიევი. მთელი ღამე სამხრეთ-დასავლეთ მხარეში საშინელი ქარიშხალი ჰქროდა. სახლის სახურავები აგლიჯა, ხეები ფესვიანად ამოგლიჯა. ტელეგრაფი დააზიანა. დნეპრზე პატარა გემები გაიფუჭა. მატარებლები და გემები იგვიანებს.

პეტერბურგი. აკადემიკოს რეინის თავმჯდომარეობით საუწყებათაშორისო კომისიის კრება მოხდა, სადაც გაირჩა კბილის ექიმთა შესახებ საკითხიც. სასურველად იცნეს არსებული კბილის საექიმო სკოლების კბილის ექიმთა ინსტიტუტებად გადააკეთონ, პირველი ხარისხის კერძო სასწავლებელთა შეფარდებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეიტანა სახლების სანიტარულ დებულებათა შესახებ იმ ქალაქში, რომლების მცხოვრებთა რიცხვი 40,000 მაინც უდრის.

იუსტიციის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში პროექტი შეიტანა, რომლითაც ექიმებს ყალბი მოწმობების მიცემისთვის სასჯელად 2—8 თვის ციხე მიესჯებაათ.

ვარშავა. სასამართლო პალატამ ანარქისტ-კომუნისტთა წრეს „წითელი ხელი“, წევრებს რომელთაც 20-ზე მეტი ავადმყოფობა ბრალდებათ, კატორღა მიუსაჯა ცამეტიდან—ოთხს წლამდე ყველანი ებრალელები არიან.

ქარიშხალი.

ეკატერინოდარი. ნამდვილის ცნობებით, ქარიშხალის დროს სულ დაღუპულა 300 კაცი. დაზარალებულთ ეხმარება ხაზინა, „წითელი ჯვარი“ ლ კერძო პირნი.

ჩერნოგოვი. საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს. გემები კიევიდან ჩერნიგოვში და ჩერნიგოვიდან კიევში მიმავალნი იძულებულნი იყვნენ ღუზები დაეყარათ და დამდგარიყვნენ.

წკიპურტები

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! წავიკითხე გაზ. „აზრის“ № 8-ში დასტამბული „ღია წერილი მიხაკო ლაღიძეს“, რომელშიაც მუშები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ „მათი მოთხოვნილებანი „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში გაჩნდა“. მე ძლიერ ამაღელვა ამ ამბავმა და პროტესტს ვუცხადებ არამც თუ იმას, ვინც „სახალხო გაზეთს“ გადასცა, არამედ თვით მიტროფანე ლაღიძესაც (მას არ უნდა წაეკითხა მოთხოვნილებანი მიუხედავად იმისა, რომ თვით მუშებმა წარადგინეს იგი), აგრეთვე საქარხნო ინსპექციას (არც აქ უნდა დაეხედათ ამ მოთხოვნილებისათვის, რადგან მუშებს არა სურდათ მისი გამოქვეყნება), პროტესტს ვუცხადებთ აგრეთვე „აზრს“, რომელმაც მოთხოვნილებანი „სახალხო გაზეთიდან“ გადაბეჭდა. პროტესტს ვაცხადებთ ყველა იმათ წინააღმდეგ, რადგანაც მოთხოვნილებანი მხოლოდ იმიტომ იწერება, რომ არავინ გაიგოს მისი არსებობა. ამ ღრმა საიდუმლოების გამოქვეყნებისათვის პროტესტს ვუცხადებთ „სახალხო გაზეთსაც“. ამ უკანასკნელს მაინც უნდა სცოდნოდა, რომ მუშათა მოთხოვნილებების გამოქვეყნება მხოლოდ „აზრის“ გარდუვალი კეთილია. „თანამგრძნობი“.

ჩვენ.

რედაქტორი ნ. ჯუღდელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-სანბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **სოფლისტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 1 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **სოფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამი 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სან.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სანგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **სოფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს 00 წ.

ყარსისკენ: **სან.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **სანბარგ.-სამგზ.** ... 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **სოფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **სანბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7 **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-როსტოვი-ნოვოროსიისკი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი** — პეტერ. ბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 105, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **სოფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 413 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26125 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეოთხე კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 ბ. **ფომინა-ახიბოგანა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთარიანი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **ს. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **ვ. ო. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაგრო პოლიციის კანტორებში: ვერი, მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კაბეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ძალაკნის მოედანზე.

ქალაქის სავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ეზოდან.

ავლაბრისა—კაბეთის ქ. № 15.

სარფუბისა—ვორონცოვის ქ. 56.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან დარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში). თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა სახჭარო შემთხვევებისა, როცა დამხმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სამეოგბიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და დამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ვივიღეთ

ზაფხულის სეზონის ყველანაირი ფეხსაცმელი

პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. **ფასები საქარხნოა** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.

პატივისცემით **თომა ჯანყარაშვილი** მუხრანის ქ. № 2. 172.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძველის პირდაპირ,

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაკუნება ძრწსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბანოვი: 1—2 ს. ფშვთა შინა. განი ავადმყ.

ზ. ი. ბ ...ნასოვი: 10—11 ს. საბუდიო, ქალებისა და ბავშვებისა.

გ. ვ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. ბ. კარაბეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბაბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-ფრიდიანი** 1—2 ს. საბუდიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.

ბრიგა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1071

იყიდება

სახლი: ორი ქვითკირის ოთახი თავისი სამზარეულოთი, 90 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე-9 საპოლიციო ნაწილში, არდონის მისახვევი (დოლუხანოვის ადგილი). ფასი ხელმისაწვდენია.

მოლაპარაკება შეიძლება: მალაკნის ქუჩა მეპურის დუქანში, 42, **ფილიპე მაისაშვილთან.** 179

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა

ჭავჭავაძე ილია. რჩეული ლექსები 1907 წ. . . . . 7 კ.
— ოთარაანთ ქვრივი ტფ. 1908 წ. . . . . 18 „
— სახრჩობელაზე ტფ. 1908 5 „
— უცნაური ამბავი „ „ 4 „
— კაკო ყაჩაღი . . . . 5 „
— კაცია ადამიანი?! ტფილ. 1908 წ. . . . . 20 „
— მგზავრის წერილები ტფ. 1908 წ. . . . . 7 „
— მეფე დიმიტრი თავდადებული, 1908 წ. . . . 7 „
— ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი 1908 წ. . . . 3 „
— აჩრდილი 1908 წ. . . 5 „
— განდეგილი 1908 წ. . 5 „
— გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები 1908 წ. . . . . 7 კ.
— დედა და შვილი. ტფ. 1908 წ. . . . . 3 „
— აი ისტორია . . . . 35 „
— პოლემიკური წერილები 10 „
— ცხოვრება და კანონი . 25 „
— კრიტიკული წერილები 25 „
— ქვათა ლაღადი . . . . 30 „

ახალი წიგნები

აბესალომ-ეთერის და როსტომის ლექსი პეტრე მირიანაშვილის შეკრებილი ტფ. 1914 წ. . . . . 20 „

შოთა რუსთაველი და მისი პოემა. სვიმონ ქვარიანისა ქ. 1914 წ. . . . . 30 „

საქართველოს ცხოვრება 1469—1800 ზ. ჭიჭინაძისა ტ. 1-ლი 1 მან.

იგივე ტ. 2-ე . . . 1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. гр. м. ср. гр. нас.

1072

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით იუწყება, რომ მომავალ აპრილის 9-ს იწვევს მეტოქეებს 1-ად.

ავჭალის ნეალსაყვანისათვის

2. სითბოთი მომაძრავებელის (დიზელის ტიპისა) დამზადება—დადგმისათვის, ცენტრიდან გამზიდველ 2—საქაჩავით ზეპირო მილების გაყვანით სამანქანო შენობის ფარგალში, მათთვის საჭირო ყოველგვარ რაზა-კლაპანებით და ყველა საჭირო მოწყობილობით, აგრეთვე ცენტრიდან წყლის გამზიდველ საქაჩავების ;სამოძრავებელ ღვედებით და წყლის საქუჩებელ აუზში ამზიდველის მილებით.

ზემოხსენებული მოწყობილება ავჭალიდან უნდა იძლეოდეს საათში 35000—40000 ვედრო წყალს მთავარ მილის მიმართულებისკენ, დიამეტრი 16 და სიგრძით 4500, 115 მეტრის სიმაღლეზე.

თითო მამოძრავებელის ძალა 150 ცხენის ღონეს უნდა უდრიდეს. საჭიროა გარანტია სათბობ მასალისა, მანქანის საპოხ ზეთისა და წყლისა.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, როდისთვის შეუძლიანთ ამ საქმის ჩაბარება. ანგარიშების გასწორება სამ წელიწადში ხდება ყოველთვიურად ფულის მიცემით. პირველად ფული მიეცემათ ამ საქმის მიღებიდან ორის თვის შემდეგ. ამ მეტოქეობაში მონაწილეების მიღების მსურველთ დაბეჭდილის კონვერტებით უნდა წარმოადგენონ თავისი განცხადებანი ზედწარწერით:

„9 აპრილის შეჯიბრებისათვის, ავჭალის წყალსაყვანის სადგურისათვის მამოძრავებლისა და საქაჩავების დასადგმელად“. ამასთანავე როგორც პირადად მიტანილი ისე ფოსტით გამოგზავნილი კონვერტები მიმართული უნდა იყოს გამგეობის წევრის, ტფილისის ქალაქის გამგეობის საალმშენებლო განყოფილების გამგის სახელობაზე. პაკეტები უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 9 აპრილის შუადღის 12 საათამდე, როდესაც მოხდება თვითონ შეჯიბრებაც ზემოხსენებულ საქმეში.

შეჯიბრების შედეგს ტფილისის ქალაქის გამგეობა განიხილავს, და ვის პირობებსაც უფრო ხელ-საყრელად მიიჩნევს, ამ საქმესაც იმას გადასცემს.

ხელშეკრულობისა და ამ სამანქანო შენობის გეგმის გადათვალიერება შეიძლება ყოველ საქმის დღეს დილის 9 ნახ. 2 საათამდე წყალსაყვანის განყოფილების კანცელარიის საქმის მწარმოებელთან. თუ ის პირი, ვისაც ეს საქმე შეჯიბრების მერე გადაეცემა, არ მისი რწმუნებული, ხელშეკრულობის დასადებად 10 დღეში არ გამოცხადდება, იმ დღიდან, რა დღიდანაც ეცნობებათ რომ საქმე მათ გადაეცათ, მაშინ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებად წარდგენილი ბე ქალაქის შემოსავალში ჩაირიცხება, ხოლო საქმე კი, ტფილისის ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით, სხვა პირს გადაეცემა. 1109

თეგზის მრეწველნი

ძმ. ქეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის ბანყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

1081